ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
05.12.2012N 160
თბილისი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის
არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „არასამეწამეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №215 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდებისა და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 იანვრის №579 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდეგში- არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება), აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 სექტემბრის N769 და 2012 წლის 14 ნოემბრის N810 დადგენილებების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის კვოტით ასარჩევი წევრის არჩევნები 2012 წლის 26 დეკემბერს.
2. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2012 წლის 13 დეკემბერს და დასრულდეს 2012 წლის 19 დეკემბერს.
3. კანდიდატებმა განცხადება შეიტანონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
ბ) ცნობა ტექნიკურ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობის შესახებ.
4. ფაკულტეტის საბჭომ უზრუნველყოს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
5. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
6. არჩევნების დამთავრების შემდეგ არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა: იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი: *ბ.მაისურაძე*